ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5330813

ნომერი: AR1803745

თარიღი : 16.02.2021

გაცემის თარიღი : 17.03.2021

გაცნობის თარიღი : 24.03.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , II დოლაბაურის ხევი , N 35 ; ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე , წერნაკის ქუჩის ასახვევის , მიმდებარედ (ნაკვეთი 48/003);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ღოღობერიძე პ/ნ 01017018775
- თბილისი ბესიკის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს ავლაბარი ჰოთელს
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405334598
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნინო ღოღობერიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017018775

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 5174276
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 5.11.2020

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 5229307
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 18.12.2020

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. ამჟამად ნომენკლატურა არ არის სწორად არჩეული. კერძოდ საჭიროა საკითხი დაყენებულ იქნას ვადაგაუსვლელი მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების კუთხით, რისთვისაც საჭიროა ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით.

02. განობებთ AR1791063 განცხადებაზე წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების პროექტისა და კალენდარული გრაფიკის გათვალისწინებით, მშენებლობის ნებართვის გაცემიდან სამი თვის ვადაში უნდა განხორციელებულიყო მშენებლობის რამდენიმე ეტაპი, ხოლო სანებართვო პირობებით გათვალისწინებული მშენებლობის თითოეული ეტაპის დასრულებამდე 10 დღით ადრე ნებართვის მფლობელს უნდა ეცნობებინა საჯარო ზედამხედველობის ორგანოსათვის მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ. ვინაიდან, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - დაჯარიმებას, ხოლო, ამჟამად წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათებიდან დგინდება, რომ არ შესრულებულა სათანადო სამშენებლო სამუშაოები და შესაბამისად არ განხორციელებულა საჯარო ზედამხედველობის ორგანოსათვის შეტყობინების სახით მიმართვა კალენდარული გრაფიკით გათვალისწინებული თითოეული ეტაპის დასრულებასთან დაკავშირებით, მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებისთვის აუცილებელია წარმოდგენილი იქნას შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტი და დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელ ქვითრი.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.